# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №62

2018წ. "07" 09

ქ.თბილისი

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის $4^1$ და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 364-ით.
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №12 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.

ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

**თავმჯდომარე**
ნუგზარ სხირტლაძე

**მდივანი**
მაკა გველესიანი

**დანართი**

**პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები**

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აგროლოგისტიკის ოპერატორი | მეოთხე | აგროლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020363) | 50 | ქართული | 22 | ქ.ქუთაისი, შერვაშიძის 53 |
| 2 | მცირე ბიზნესის მწარმოებელი | მეოთხე | მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020360 | 60 | ქართული | 8 | ქ.ფოთი კუნძულის უბანი, 9 აპრილის ხეივანი N11 |
| 3 | სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი | მეოთხე | სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020361) | 60 | ქართული | 14 | ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის 21 |
| 4 | ავტომობილის ზეინკალი | მეოთხე | ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040772) | 60 | ქართული | 5 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 |
| 5 | ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი | მეოთხე | ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040767 | 60 | ქართული | 9 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი | მეოთხე | მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040853) | 60 | ქართული | 7 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 |
| 7 | ელექტრიკოსი | მეოთხე | ელექტრიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040557) | 60 | ქართული | 6 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 |
| 8 | სავალი ნაწილის ტექნიკოსი | მეოთხე | სავალი ნაწილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040769) | 60 | ქართული | 5 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 |
| 9 | სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი | მეოთხე | სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040955) | 60 | ქართული | 6 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 |
| 10 | ძრავის შემკეთებელი | მეოთხე | ძრავის შემკეთებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040770) | 60 | ქართული | 7 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 |
| 11 | საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი | მესამე | საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040668) | 45 | ქართული | 15 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 |

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1) | მეხუთე | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხური პროფესიული კვალიფიკაცია (030254) | 111 | 141 | ქართული | 40 | ქ.ქუთაისი, თამარ მეფის N59 მე-2 კორპუსი |
| 2 | ბიბლიოთეკარი (1) | მეოთხე | ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (070852) | 94 | 124 | ქართული | 30 | ქ.ქუთაისი, თამარ მეფის N59 მე-2 კორპუსი |
| 3 | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი (1) | მეოთხე | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080381) | 106 | 136 | ქართული | 20 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის ქუჩა მე-2 შესახვევი N23 მე-13 კორპუსი |
| 4 | დეკორატიული გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი (1) | მეოთხე | დეკორატიული გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიულ | 112 | 142 | ქართული | 20 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის ქუჩა მე-2 შესახვევი N23 მე-13 კორპუსი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ი კვალიფიკაცია (080359) | | | | | |
| 5 | ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი (1) | მეხუთე | ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080377) | 117 | 147 | ქართული | 20 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის ქუჩა მე-2 შესახვევი N23 მე-13 კორპუსი |
| 6 | ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი (1) | მეოთხე | ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080384) | 92 | 122 | ქართული | 30 | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის ქუჩა N98 მე-8 კორპუსი |
| 7 | სისტემების ადმინისტრატორი (1) | მეხეთე | სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040162) | 104 | 134 | ქართული | 30 | ქ.ქუთაისი, თამარ მეფის N59 მე-2 კორპუსი |
| 8 | სარეკლამო აგენტი (1) | მეოთხე | სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია(020253) | 95 | 125 | ქართული | 30 | ქ.ქუთაისი ჯავჯავაძის პრ.21 მე-18 კორპუსი |
| 9 | საბაჟო საქმე (1) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესი | 93 | 123 | ქართული | 40 | ქ.ქუთაისი ჯავჯავაძის პრ.21 მე-18 კორპუსი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში (020368) | | | | | |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*